



Funded by
the European Union



პრეს რელიზი

ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ‘‘განახლებადი ენერჯის რეგულირება’’ დახურვის ცერემონია.

2023 წლის 20 აპრილს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა ტვინინგის პროექტმა - განახლებადი ენერჯის რეგულირება საქართველოში, ევროკავშირის მხარდაჭერით, სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში დასკვნით ცერემონიას უმასპინძლა.

ავსტრიის, გერმანიისა და საქართველოს მარეგულირებელი ორგანოების (E-Control, BNetzA, GNERC), ასევე საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიზნეს საზოგადოების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ენერგეტიკის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პროექტის ძირითად მიღწევებზე.

დახურვის ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ მაღალი რანგის სტუმრები, მათ შორის, ბ-ნი თომას მულმანი - ავსტრიის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში და ბ-ნი კატალინ გერმანი - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსი. მათ აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს.

ძირითად მომხსენებლებად საქართველოს საჯარო სექტორის მაღალი რანგის წარმომადგენლებს ვიხილეთ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა რომეო მიქაუტაძემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატონმა თეიმურაზ ჯანჯალიამ და სემეკის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ნარმანიამ იმსჯელეს პროექტის ძირითად მიღწევებზე, საქართველოში მიმდინარე ენერგეტიკული სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და საქართველოს ეკონომიკაზე მათი დადებით გავლენის შესახებ.

დახურვის ცერემონიაზე შეჯამდა პროექტის შედეგები და ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროექტის სამივე კომპონენტთან მიმართებაში, რომლებიც ენერგეტიკის სხვადასხვა სფეროს მოიცავდნენ. აღნიშნული რეკომენდაციები ითვალისწინებენ შემდეგს: სემეკის მიერ



Funded by
the European Union



სიმძლავრის ტარიფების დანერგვა ქსელის ხარჯების შემცირებისა და მწარმოებლებისთვის ქსელის საჭიროებებზე დაყრდნობით ელექტროსადგურების მშენებლობის წახალისების მიზნით; ჰკვიანი მრიცხველების დანერგვა, ელექტროენერჯის შესყიდვის პროცესში მოქნილობის პოტენციალის იდენტიფიცირება და ელექტრომობილების დამუხტვისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; იმპლემენტაციის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა; სემეკის მიერ ევროპული საკანონმდებლო ჩარჩოს დანერგვა, რაც განახლებადი ენერჯის, სანდო, დაცული და ეფექტური ბაზრის შემქნის საწინდარია. რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია და ენერჯო ეფექტურობა უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის კოეფიციენტის ზრდას, დასაქმების ხელშეწყობას, ენერჯეტიკული სექტორის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას, რაც მიმდინარე ენერჯეტიკული კრიზისის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დახურვის ცერემონიაზე მოწვეულმა მაღალი რანგის მომხსენებლებმა პროექტი შემდეგნაირად შეაფასეს:

“ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტი საქართველოში განახლებადი ენერჯის რეგულირების შესახებ წარმატებით განხორციელდა. პროექტის მთავარი და მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აქტიური მხარდაჭერა ენერჯეტიკული ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებაში, ევროკავშირის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პროექტის ასეთი წარმატება მიუთითებს ევროპულ და ქართველ კოლეგებს შორის ეფექტურ თანამშრომლობაზე, რომელიც ასევე მოიცავს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას. საწინდარი ევროპელი და ქართველი კოლეგების ინტენსიური თანამშრომლობა ინდიკატორია ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას.” – ბატონი კატალინ გერმანი - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსი.

“ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ პროექტის ხელმძღვანელობა. მომეცა შესაძლებლობა მემუშავა სხვადასხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციების გამორჩეულ ექსპერტებთან ერთად. ჩვენ შევძელით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის, მოთხოვნის მხარის მართვისა და განახლებადი ენერჯის კუთხით, რომლებიც ენერჯეტიკის სექტორის რეგულირების დინამიურ და რთულ კომპონენტებს წარმოადგენენ.” – ბატონი დიტმარ პრეინსტორფერი, პროექტის ლიდერი ევროკავშირის წევრი ქვეყნის მხრიდან.



Funded by
the European Union



“ამჟამად, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს ჩვენი კანონმდებლობისა და, შესაბამისად, ენერგეტიკული ბაზრის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ჩვენ განუწყვეტლივ ვზრუნავთ ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოთ უაღრესად მიმზიდველი გარემო როგორც მომხმარებლებისთვის, ისე კომპანიებისთვის. ზემოაღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროპის წამყვანი უწყებების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. ასეთი შესაძლებლობა ტვინინგის - ინსტიტუციური თანამშრომლობის ევროპული ინსტრუმენტის მეშვეობით მოგვეცა, რაზეც მსურს, ევროკავშირს მადლობა გადავუხადო.” - ბატონი გიორგი ფანგანი, პროექტის ლიდერი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტი საქართველოში განახლებადი ენერჯის რეგულირების შესახებ ხორციელდებოდა 2021 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო მისი ბიუჯეტი 1.5 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტის იმპლემენტაციას უზრუნველყოფდნენ ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო (E-Control) და გერმანიის ფედერალური ქსელის სააგენტო (BNetzA) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი), როგორც პროექტის პირდაპირ ბენეფიციართან, მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით, ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) შესაძლებლობების გაძლიერებას ქსელის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიების შემუშავების, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სტრატეგიის ჩამოყალიბების, მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნისა და მოთხოვნის მხარის ჩართულობის გზით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- თამრიკო მიქაძე, პრესისა და ინფორმაციის ოფიცერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, Tamriko.Mikadze@eeas.europa.eu
- მარიამ ჭუმბაძე, მუდმივი უცხოელი მრჩეველის თანაშემწე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტი - განახლებადი ენერჯის რეგულირება საქართველოში, mariam.chumbadze@e-control.at